WWW.E-GOVERNMENT.GE
საინფორმაციო ფურცელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

აპრილი, 2011
გამოშვება # 3

E-government.ge-
შესახებ

- სამთავრობო ელ-სერვისების პირველი ვებ-პორტალი საქართველოში
- მოსახერხებელი სანავიგაციო საშუალებები
- ინფორმაციის გამარტივებული ძებნა
- მომხმარებელთა შორის მზარდი პოპულარობა

ჩვენ ერთი სახლი გვაქვს - იუსტიციის სამინისტროს საქველმოქმედო აქცია

17 აპრილს, ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, შარდენზე იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით საქველმოქმედო აქცია გაიმართა. მზრუნველობამოკლებული ბავშვების მხარდასაჭერად პროკურატურის, საჯარო და სამოქალაქო რეესტრების, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნოტარიუსთა პალატის, ეროვნული არქივის, იუსტიციის სასწავლო ცენტრის, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, საკანონმდებლო მაცნეს თანამშრომლები გაერთიანდნენ.

აქციის მოანწილეებს გამოჩენილი გულისმიერებისათვის მადლობა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ და მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყავრელიძემ გადაუხადეს და დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ ღონისძიების ფარგლებში შემოსული თანხა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებს მოხმარდება.

საქველმოქმედო აქციაზე მოგროვილი თანხით, რომელმაც 7000 ლარი შეადგინა, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებისთვის კომპიუტერებს შეიძენენ და ბავშვებს

საქართველოში ელექტრონული მთავრობის განვითარების დონე გერმანელმა ექსპერტმა შეაფასა

საქართველოს გერმანელი ექსპერტი, დიტერ შიმანკე ეწვია, რომელმაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ერთი კვირა დაჰყო, ჩაატარა შეხვედრები საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ელექტრონული მთავრობის განვითარების მიმართულებით გარკვეული რეკომენდაციებიც წარმოადგინა. პროფესორი დიტერ შიმანკე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) წარმოადგენს და უკვე წლებია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვყნებისთვის ელექტრონული მმართველობის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა სახის პროექტებში მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ იგი წლების მანძილზე მუშაობდა საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმების, საჯარო ადმინისტრირების და სხვადასხვა პროექტების მიმართულებით.

ასევე მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ელექტრონული მთავრობის განვიათრების მხრივ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო 2010 წლიდან ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე მუშაობს და მის ძირითად მიმართულებას მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა და ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება წარმოადგენს.

“საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა. ერთი კვირის მანძილზე ჩვენ აქტიურად განვიხილავდით თქვენს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების პერსპექტივებს. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ უკვე ჩატარებულია საკმაოდ შრომატევადი სამუშაო, რაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დამსახურებაა.” - **დიტერ შიმანკე**.

“დოქტორ შიმანკეს ვიზიტი ჩვენი სააგენტოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მას აქვს დიდი გამოცდილება კონსულტაციები გაუწიოს იმ ქვეყნებს, სადაც ელექტრონული მმართველობა ჩამოყალიბების პროცესშია. მისი სფეროა ამ პროცესების თანმდევი იურიდიული საკითხების, ასე ვთქვათ, ლეგალური ჩარჩოების დამუშევება. მოხარულნი ვართ, რომ მოგვეცა საშუალება გაგვეზიარებინა მისი გამოცდილება, რაც უდავოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს საქმიანობას.” - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

პარტნიორობა ტექნოლოგიების სფეროში - საქართველო-სომხეთის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნეს ფორუმი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, სომხეთის საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების კავშირმა (UITE) და საქართველოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს საბჭომ გამართეს ერთობლივი ბიზნეს ფორუმი, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოფიების სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა.

საქართველო, როგორც რეგიონის ლიდერი ქვეყნა, რომელმაც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მხრივ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და რომელიც არაერთი მნიშვნელოვანი სიახლის ინიციატორია, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნებთან, რათა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს საქართველელოსა და პარტნიორი ქვეყნების საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და მოხდეს მათი აქტიური გამოყენება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცებას.

ტრადიციული საერთაშორისო კონფერენცია GITI, რომელსაც საქართველომ გასულ წელს უკვე მესამედ უმასპინძლა, სწორედ ასეთი კავშირების დამყარებას უწყობს ხელს. კონფერენციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სომხეთის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ბაზრის არაერთი ლიდერი კომპანია.

ბიზნეს ფორუმი GITI კონფერენციის ერთ-ერთი შედეგია. ფორუმში მონაწილეობის მისაღებად სომხეთის რესპუბლიკიდან საქართევლოში ჩამოვიდა 20-ზე მეტი კომპანიის 40-მდე წარმომადგენელი, რომელიც ქართველ პარტნიორებთან ერთად განიხილავენ თანამშრომლობის

საკითხებს ისეთს სფეროებში, როგორიცაა თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ბიზნესის წარმოების გარემოს გაუმჯობესება, საგანმანათლებლო ინიციატივები, ტელეკომუნიკაციის ბიზნესის პერსპექტივები და სხვა.

„დღევანდელი ბიზნეს ფორუმი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, სომხეთის რესპუბლიკა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია, რომელთანაც სხვადასხვა სფეროში ვთანამშრომლობთ. ერთ-ერთი ასეთი სფეროა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. მოგეხსენებათ, დღევანდელ დღეს ამ სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორების განვითარებასთან დაკავშრებით, იქნება ეს სატელეკომუნიკაციო ბაზარი, ელექტრონული მმართველობა, ინფორმაციული უსაფრთხოება, საპტრივატიზაციო პროცესი თუ სხვა. საინფორმაციო ტექნოლოგიები უდიდეს როლს თამაშრობს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ეფექტურ მუშაობაში. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ სფეროს განვითარბეის დონე პირდაპირპროპორციულად აისახება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს საბჭოს, რომელთან ერთობლივი მუშაობის შედეგია ის, რომ მოგვეცა საშუალება ჩვენს სომეხ პარტნიორებთან ერთად ვიმსჯელოთ არაერთ საინტერესო საკითხზე.“ - **ირაკლი ქაშიბაძე**, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი.

ბიზნეს ფორუმში საჯარო სექტორის გარდა, კერძო სექტორის კომპანიებიც იღებენ მონაწილეობას, რომლებიც წარმოადგენენ პრეზენტაციებს მათ მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ და იმსჯელებენ სამომავლო პრესპექტივებზე.

„გასული წლის ნოემბერში საქართველომ GITI 2010 კონფერენციის ფარგლებში მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლა, რომელშიც სომხეთის რესპუბლიკიდან ჩენმა კავშირმა და არაერთმა კომპანიმ მიიღო მონაწილეობა. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის რამდენიმე წამრომადგენელმა კონკურსის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებაც მოიპოვა. რაც შეეხება დღევანდელ ბიზნეს ფორუმს, ეს შეიძლება ამ განვლილი კონფერენციის ერთგვარ გაგრძელებად მივიჩნიოთ. ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთობლიოვად ვიმუშავებდით რეგიონში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საკითხებზე.

დღევანდელი დღეც ამის დასტურია. ჩვენ საშუალება გვეძლევა აღმოვაჩინოთ ახალი კომპანიები, გავამყაროთ ჩვენი კავშირები არსებულ პარტნიორებთან და ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება. ვფიქრობ, ეს ყოველივე სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის. ასევე მიდნა მადლობა გადავუხადო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბიზნეს ფორუმის ჩატარების იდეის განხორციელებაში.“ - **ვაჰან ჰოვსეპიანი**, მენეჯმენტის მრჩეველი, სომხეთის საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების კავშირი.

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

UITE
Armenian ICT Industry Association

ICT BUSINESS COUNCIL

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის 2
თბილისი, 0102 საქართველო
ტელ: (+995 32) 91 51 40 (106)
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

www.e-government.ge

იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით 2010 წლის 4 იანვრიდან ფუნქციონირებს.

სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება და მონიტორინგი, საჯარო სექტორში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროსთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

- ელექტრონული მმართველობა;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა;
- ინფორმაციული უსაფრთხოება.

ელექტრონული მმართველობა

სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრირების და მათი ფუნქციების განხორციელების ეფექტური და თანამედროვე ფორმა, რაც მოიცავს: სახელმწიფოსა და მოქალაქეს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ელექტრონულ ფორმებს. დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფო უწყება უკვე ფლობს არაერთ მომოსახურებას, რომელსაც ელექტრონული ფორმით სთავაზობს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს. ელექტრონული სერვისი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ყველაზე იაფ, მოხერხებულ და სწრაფ მომსახურებას. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი მომსახურებების ერთიან სისტემაში მოქცევა და მათი ადმინისტრირება.

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა

ეფექტური საშუალება საჯარო სექტორში არსებული მონაცემების კოორდინირებულად მართვის უზრუნველსაყოფად, რაც ასევე დაკავშირებულია ელექტრონული მმართველობის სრულყოფილად განვითარებასთან. ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ინფრასტრუქტურის

ინფორმაციული უსაფრთხოება

როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ამოქმედება ზრდის ინფორმაციული უსაფრთხოების საფრთხეს. კიბერ- შეტევების, კიბერ ინციდენტების პრევენციისთვის მონაცემთა გაცვლის სააგენტოში მოქმედებს სტრუქტურული ერთეული - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომლიც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციულ ინციდენტებზე რეაგირების მთავარ ორგანოს. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პრეროგატივაა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საერთო სტანდარტების და პოლიტიკის შემუშავებაც.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის 2
თბილისი, 0102 საქართველო
ტელ: (+995 32) 91 51 40 (106)
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "**Unsubscribe**".

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "**Subscribe**" ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge